



სსიპ საზღვაო ტრანსპორტის  
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT  
AGENCY



KA020109179139820

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26  
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 22/CIRC/FSI

22 / ივნისი / 2020 წ.

საქართველოს დროშით მცურავი გემების  
მფლობელებს, ოპერატორებს, მენეჯერებს,  
ალიარებულ ორგანიზაციებს, ალიარებულ აგენტებს,  
საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურს  
ასლი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება  
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო  
დაცვის დეპარტამენტს

შინაარსი: საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მითითება:

- საქართველოს საზღვაო კოდექსი
- ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (SOLAS 74, as amended)
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის რეზოლუცია A.1047(27) „პრინციპები მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N342 ტექნიკური რეგლამენტი "საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ"

1. მიზანი:

1.1 ცირკულარის მიზანია განმარტოს საქართველოს დროშით მცურავი გემის უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად საჭირო ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტებასთან დაკავშირებული მოთხოვნები გემის საერთო ტევადობის, მთავარი ამძრავი მექანიზმის სიმძლავრის, ნაოსნობის რაიონის, გემის მუშაობის პირობებისა და დანიშნულების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

1.2 აღნიშნული ცირკულარი ატყობინებს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული გემების მფლობელებს, ოპერატორებს, მენეჯერებს და კაპიტნებს, რომ 2020 წლის - 1 ივნისს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება N 342 ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ ( შემდგომში დადგენილება).

2. მოქმედების სფერო:

2.1 დადგენილება ვრცელდება საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ გემზე, რომელთა ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტება განისაზღვრება დადგენილების №1 დანართის ცხრილების შესაბამისად.

2.2 დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ შემდეგ მცურავ საშუალებებზე

- ზომამცირე გემებზე
- არათვითმავალ მცურავ საშუალებებზე საგენბანო განყოფილების გარეშე.

### **3. ზომამცირე გემების მინიმალური ეკიპაჟის დაკომპლექტება:**

3.1 სანაოსნო რაიონის შეზღუდვის გათვალისწინებით, შიდა ნაოსნობაში ჩართული ზომამცირე გემის ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობა განისაზღვრება 1 (ერთი) პირით, რომლისთვისაც არ არის სავალდებულო ფლობდეს საზღვაო კომპეტენციას ან კვალიფიკაციას, თუმცა უნდა შეეძლოს მცურავი საშუალების მართვა და მანევრირება.

### **4. ზოგადი მოთხოვნები:**

4.1 აკრძალულია იმ გემის ნავსადგურიდან გასვლა, რომლის ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტება არ შეესაბამება მონმობით გათვალისწინებულ მინიმალურ მისაღებ სტანდარტს ან არ აქვს ძალაში მყოფი შესაბამისი მონმობა.

4.2 აღიარებული ორგანიზაციის რეკომენდაციით თევზსაჭერ, სპეციალური მომსახურების და სამგზავრო გემებზე, სააგენტოს თანხმობით, შესაძლებელია გაიზარდოს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო დაკომპლექტების რაოდენობა, რაც შესაბამისად აისახება მონმობაში.

4.3 გემთმფლობელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ან/და აღიარებული ორგანიზაციის რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომელიც ადასტურებს ეკიპაჟის რაოდენობის შემცირების შესაძლებლობას, სააგენტოს თანხმობით, შესაძლებელია შემცირდეს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო დაკომპლექტების რაოდენობა, რაც შესაბამისად აისახება მონმობაში.

4.4 გემთმფლობელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ან/და აღიარებული ორგანიზაციის რეკომენდაციის გათვალისწინებით, დახურული სამანქანე განყოფილების მქონე მცურავ საშუალებაზე სამანქანე განყოფილების ეკიპაჟით დაკომპლექტება არ არის სავალდებულო.

4.5 საქართველოს დროშით მცურავ გემზე ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო დაკომპლექტების მონმობაში მოცემული ეკიპაჟის წევრთა საშეღავათო ნებართვა გაიცემა საქართველოს კანონის „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4.5 ნავსადგურის დამხმარე ფლოტისა და თევზსაჭერი გემების ნავმისადგომთან დგომისას, რომელზეც ხელმისაწვდომია შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, სავალდებულოა ერთი ეკიპაჟის წევრის გემზე მუდმივად ყოფნა.

### **5. ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების ძირითადი მიზნები:**

5.1 საქართველოს დროშის ქვეს მცურავი გემის ეკიპაჟმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ძირითადი ფუნქციების შესრულება:

- გემის უსაფრთხოება და უშიშროება;
- მგზავრთა უსაფრთხოება;
- ტვირთის უსაფრთხო გადატანა;
- გემის ამძრავი მექანიზმის, ელექტრომონოცილობისა და მართვის სისტემის მუშა მდგომარეობის შენარჩუნება;
- მუდმივი რადიოკავშირის არსებობა;
- გემის ტექნიკური მომსახურება და გადაუდებელი რემონტი;
- ზღვაზე უსაფრთხოებისა და ზღვის გარემოს დაბინძურებისგან დაცვა;
- სამუშაო და დასვენების დროის რეჟიმის დაცვა;
- გემის უსაფრთხო ნაოსნობა და მართვა;
- გემის უსაფრთხო ოპერაციები ნავსადგურში;
- მეზღვაურთა კეთილდღეობის და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

### **6. სპეციალური მოთხოვნები უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით:**

6.1 ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტებაში არ შედის მგზავრი და სამგზავრო გემზე მომსახურე პერსონალი.

6.2 თუ გემზე ეკიპაჟის წევრთა მინიმალური რაოდენობა არის 10 (ათი) ან მეტი, მაშინ ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტებისას, ეკიპაჟის შემადგენლობაში სავალდებულოდ შეყვანილი უნდა იქნეს გემის მზარეული.

6.3 გემზე, რომლის ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობა 10-ზე ნაკლებია და ეკიპაჟის წევრთა შორის არ არის სერტიფიცირებული მზარეული, სავალდებულოა, რომ ნებისმიერი ეკიპაჟის წევრი იყოს მომზადებული ან გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი საკვების, პირადი ჰიგიენის მიმართულებით, აგრეთვე, გემზე საკვების მართვასა და შენახვასთან დაკავშირებით.

6.4 იმ გემის ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტებისას, რომლის მთავარ ამძრავ მექანიზმს წარმოადგენს ელექტროძრავი, ეკიპაჟის შემადგენლობაში სავალდებულოდ შეყვანილი უნდა იქნეს დამატებით ელექტროტექნიკოსი.

6.5 GMDSS რადიომონოცილობით აღჭურვილ გემს უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი საგემბანე განყოფილების ოფიცერი, რომელსაც აქვს GMDSS რადიოოპერატორის კომპეტენციის სერტიფიკატი STCW კონვენციის შესაბამისად.

6.6 გემზე, რომელსაც გადაჰყავს 100 ან მეტი რაოდენობის მგზავრი და ასრულებს სამ დღეზე მეტი ხანგრძლივობის საერთაშორისო რეისს, სავალდებულოა კვალიფიციური ექიმის არსებობას, რომელიც პასუხს აგებს სამედიცინო მომსახურებაზე.

6.7 გემზე, რომელზეც არ იმყოფება ექიმი, ეკიპაჟის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ისეთი მეზღვაური, რომელიც პასუხს აგებს სამედიცინო მომსახურებაზე და პირველად სამედიცინო დახმარების განწვევაზე. ასეთ პირს უნდა ჰქონდეს გავლილი STCW კონვენციით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიცირება.

6.8 შიდა ნაოსნობაში ჩართული სამგზავრო გემების ეკიპაჟის წევრებს უნდა ჰქონდეს STCW კონვენციის რეგულაციის V/2 შესაბამისად გაცემული სერტიფიკატი, რომელიც შეეხება მგზავრების მართვას კრიზისულ სიტუაციაში. (2021 წლის 1 იანვრიდან)

## 7. გემთმფლობელის ვალდებულება:

7.1 STCW-ის კოდექსის A-I/14 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი, ოპერატორი ან მმართველი კომპანია, ვალდებულია უზრუნველყოს გემზე დასაქმებული ეკიპაჟის ყველა წევრის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

7.2 საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი, ოპერატორი ან მმართველი კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს:

- გემზე დასაქმებული თითოეული მეზღვაური საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული სათანადო სერტიფიკატებით;
- გემზე დასაქმებულ ყველა მეზღვაურთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მონაცემების მოწესრიგება და ხელმისაწვდომობა დროშისა და საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი პირებისათვის იმ დოკუმენტებისა და მონაცემების ჩათვლით, რომლებიც შეეხება მეზღვაურის გამოცდილებას, წვრთნას, ჯანმრთელობის მდგომარეობას და დაკისრებულ მოვალეობებთან მისი კომპეტენციის შესაბამისობას;
- გემზე დასაქმებული ყველა მეზღვაურის მიერ თავიანთი უშუალო მოვალეობებისა და გემზე არსებული იმ მექანიზმების, დანადგარების, ხელსაწყოების, პროცედურებისა და გემის ტექნიკური მახასიათებლების ცოდნა, რომლებიც დაკავშირებულია ყოველდღიური საქმიანობის დროს და ავარიულ სიტუაციაში მათ მიერ შესასრულებელ მოვალეობებთან;
- გემის ეკიპაჟის მიერ თავიანთი მოქმედებების ეფექტიანი კოორდინირება ავარიული სიტუაციის და იმ ფუნქციათა შესრულების დროს, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას;
- გემზე დასაქმებული ყველა მეზღვაურის მიერ STCW კონვენციის შესაბამისად მოთხოვნილი გადამზადებისა და საწვრთნელი კურსების გავლა;
- მოვალეობათა იმგვარად ორგანიზება, რომ დაღლილობის გამო არ შემცირდეს ვახტზე მდგომთა მუშაობის ეფექტიანობა;
- მოვალეობათა იმგვარად ორგანიზება, რომ რეისის დაწყებისას ვახტზე მდგომი ცვლა და მისი მომდევნო ცვლა იყოს სათანადოდ დასვენებული ან/და უნარიანი მოვალეობის შესასრულებლად.

7.3 საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი ან მმართველი კომპანია ვალდებულია, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს სათანადო ზომების შემუშავება STCW-ის კოდექსის A-VIII/1 და B-VIII/1 ნაწილების შესაბამისად.

7.4 საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი ან მმართველი კომპანია ვალდებულია გემზე შექმნას საკმარისი საცხოვრებელი ფართი გემის ეკიპაჟისთვის.

7.5 საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი ან მმართველი კომპანია ვალდებულია შექმნას ეფექტური მექანიზმი გემის ეკიპაჟის დაკომპლექტების დონეებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების ან დავების შესწავლისა და მოგვარების მიზნით.

7.6 საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელ ან მმართველ კომპანიას უფლება აქვს, დაასაქმოს დამატებითი მეზღვაურები, რომელთა რაოდენობა აღემატება ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო დაკომპლექტების მონშობით გათვალისწინებულ მინიმალურ მისაღებ სტანდარტს, შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- დამატებითი მეზღვაურებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი საცხოვრებელი ფართი;
- დამატებითი მეზღვაურებისთვის არსებობს საკმარისი უსაფრთხოების საშუალებები;
- დამატებითი მეზღვაურებს ჩაუტარდათ სწავლება უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით.

## 8. მონშობის გაცემის პროცედურა, მოქმედების ვადა და საფასური:

8.1 საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი ან მმართველი კომპანია ვალდებულია სააგენტოს მიერ დამტკიცებული განაცხადით მიმართოს სააგენტოს მონშობის მისაღებად.

8.2 მონშობის მიღების განაცხადში კომპანიამ უნდა მიუთითოს გემის დეტალური მონაცემები, საქმიანობის სახეობა, მოქმედების სფერო და ეკიპაჟის დაკომპლექტების მინიმალური რაოდენობა და კომპეტენცია, რომლის მეშვეობითაც კომპანიას სურს გემის ფუნქციონირება.

8.3 თუ სააგენტო დაადგენს, რომ კომპანიის მიერ შეთავაზებული ეკიპაჟის მინიმალური დაკომპლექტება აკმაყოფილებს გემის უსაფრთხო ექსპლუატაციისა და ზღვის გარემოს დაცვის მოთხოვნებს, იგი გასცემს დანადგენილებით გათვალისწინებულ მოწმობას, რომელიც შესაბამისობაშია IMO-ს A.1047(27) რეზოლუციასთან.

8.4 გემის მუდმივი რეგისტრაციის დროს მოწმობა გაიცემა უვადოთ.

8.5 გემის დროებითი რეგისტრაციის დროს მოწმობა გაიცემა მოქმედების ვადის მითითებით.

8.6 შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 რეგისტრულ ტონაზე ნაკლები მცურავი საშუალების ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების მონაცემები მიეთითება გემის რეგისტრაციის მოწმობაში.

8.7 კომპანია ვალდებულია მიმართოს სააგენტოს ახალი მოწმობის ასაღებად იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ შეიცვალა სახელი/ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა, გემის კლასი, დონე, ტექნიკურ-საექსპლუატაციო მახასიათებლები, ნაოსნობის რაიონი ან/და ეკიპაჟის საშუალო და დასვენების პირობები, ასევე ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში.

8.8 მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში გაიცემა ახალი მოწმობა.

8.9 მოწმობის გაცემის საფასური და გაცემის წესი განისაზღვრება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის ბრძანების № 1-1/592 შესაბამისად.

## 9. გარდამავალი დებულებები:

9.1 დადგენილება ამოქმედდება **2020 წლის 4 ივლისიდან**.

9.2 დადგენილების **ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში გემთფლობელები ვალდებული (04 იანვარი, 2021 წელი)** არიან ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობა დააკომპლექტონ ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

9.3 შიდა ნაოსნობაში ჩართული სამგზავრო გემების ეკიპაჟის წევრებისთვის STCW კონვენციის რეგულაციის V/2 შესაბამისად გაცემული სერტიფიკატი, რომელიც შეეხება მგზავრების მართვას კრიზისულ სიტუაციაში. **მოთხოვნა ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან**.

9.4 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 დეკემბრის № 326 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე.“ ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2020 წლის 4 ივლისიდან.

## 10. კონსულტაცია, დამატებითი კითხვები:


10.1 ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო დაკომპლექტების მოწმობის მიღებისა და კონსულტაციისათვის მიმართეთ სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტს.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო  
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტი  
ტელ: +995 (422) 274925  
ელ-ფოსტა: [fsi@mta.gov.ge](mailto:fsi@mta.gov.ge)  
ცხელი ხაზი : +995 (577) 221622

## დანართი:

- დანართი N1 - საქართველოს მთავრობის დადგენილება 2020 წლის N 342 ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“
- დანართი N 2- განცხადების ფორმა

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს  
დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად 

თამარ იოსელიანი